სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მოწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხოგამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

გაზეთი „ცნობის ფურცელი" ღირს
წლის დამლევამდე 3 მ. 50 კ.

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины

ახლად გამართული რესტორანი
„იუჟნი ნომერა"
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი ყველაფრისა იაფია
(30—6) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины дешевизна

პანსიონი და სასწავლებელი
ნ. დიდებულიძისა
გადავიდა ახალს სახლში, მიხეილის ქ. № 129, სადაც დებულობენ ყმაწვილებს მოსამზადებლად მეორე კლასამდინ და სრული ხარჯით პანსიონერებად. მორიგება შეიძლება პირათა და წერილით.
მოლაპარაკება შეიძლება დილით 10—2 საათ. და საღამოთი 5—7 საათ.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ვ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
შლისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—27)

Вышли въ свѣтъ и продаются вмѣстѣ съ прежними изданіями во всѣхъ книжныхъ магазинахъ и на Дворцовой ул. у г. Акопова
**Мысли и афоризмы**
часть 3-я
сочиненіе **Д. Х. Тутаева**
Скоро выидутъ въ свѣтъ сочиненія того-же автора, піесы: «Будуаръ», „Цвѣточки конца XIX вѣка», Яша Альфонсъ и Калѣка».
(4—3)

## ახალი ამბავი

*** **მონასტრების ჩაბარება.** თანახმად სინოდალურ კონტორის დადგენილებისა შუა მთის მონასტერი, ალავერდი და თეთრი გიორგი უნდა მიიღოს და ჩაიბაროს ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონისაგან არხიმანდრიტმა კირიონმა.

*** გენ.-მ. გერშელმანი, რომელიც უმაღლესი დანიშნულებას ელის ქუთაისის გუბერნიაში, ამ ჟამად იმყოფება ყირიმში, გერშელმანი ყუბანის ჯარის შტაბის უფროსობას ასრულებს.

*** **საშუალო სასწავლებლები კავკასიაში.** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები სწერენ, მთავრობას კითხვა აღუძრავს იმის შესახებ, რომ საჭიროა მომატებულ იქმნეს კავკასიაში საშუალო სასწავლებელთა რიცხვი, რომელიც დღეს მეტად მცირეა.

*** **ა. ი. ლაზარევის მოგება დოღზე.** ა. ი. ლაზარევმა, რომელსაც საუცხოვო ინგლისური ცხენები ჰყავს და რომელიც სიძეა ჯომარჯიძეებისა, აიღო მოსკოვის საზაფხულო დოღზე 18,392 მ. ამ ჟამად ბ. ლაზარევს თავისი ცხენები პეტერბურგში გადაუყვანია, სადაც აგრეთვე დოღია გამართული. შემოდგომაზე კი ლაზარევი ისევ მოსკოვს დაბრუნდება თავისი ცხენებით შემოდგომის დოღისათვის. ბ. ლაზარევს ზამთრობით ცხენები ტფილსში ჰყავს ხოლმე. დანარჩენ დროს-კი სატახტო ქალაქებში მიჰყავს დოღისათვის. ა. ი. ლაზარევი ისედაც დიდად შეძლებული კაცია, ხოლო ცხენების შემწეობით დოღებზე იღებს არა ნაკლებ 60—70 ათას მანეთისა ყოველ წლივ.

*** **ახალი გზები კავკასიაში.** მთავრობას განზრახვა აქვს გაიყვანოს კავკასიაში ახალ-ახალი გზები წარმოებისა და ვაჭრობა-მრეწველობის გასაძლიერებლად.

*** **ვაჭრობა-მრეწველობის საქმე კავკასიაში.** როგორც გაზ. „სინ. ოტეჩ."-ს გაუგია, კავკასიელი სხვილი ვაჭარ-მრეწველნი ამ წლის გასულს შუამდგომლობას აღძრავენ მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს პეტერბურგში, ცალკე შენობაში მთელი კავკასიის ვაჭრობა-წარმოების „ცნობათა განყოფილება". აზრი ასეთი განყოფილების დაარსების შესახებ, რომელსაც თვალსაჩინო მნიშვნელობა ექნება საკომერციო საქმისათვის, მრავალთ დიდი თანაგრძნობით მიიღეს, და ზოგიერთმა ფირმებმა სურვილი განაცხადეს, განყოფილების დაარსების ხარჯის ერთ ნაწილს ჩვენ ვიკისრებთო.

*** **კურსები მუშათათვის.** ამ მოკლე ხანში აღიძრება კითხვა იმის შესახებ, რომ რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებლებში დაარსებულ იქმნას სამუდამო კურსები ხატვისა რკინის გზის მდაბალ მსახურთათვის.

*** **განმარტება სამრეწველო დაწესებულებათა საყურადღებოდ.** მუშებსა და მათ დამქირავებელთა შორის დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად, მთავრობამ განმარტა, რომ იმ წიგნის ნაცვლად, რომელსაც მუშა უდგენს ქარხნის კანტორას საჭირო ცნობების ჩასაწერად, უნდა ეძლეოდეს მუშებს განსაკუთრებული კონტრამარკა, კანტორაში წიგნის წარდგენის დროის აღნიშვნით. ხოლო იმ ქარხნებში, სადაც მუშებს ორ-ორი საანგარიშო წიგნი აქვთ, კანტორაში მუშის მიერ წარდგენილ წიგნის ნაცვლად უნდა მიეცეს მას მეორე წიგნი. ამასთანავე მექარხნეებმა მომავალში არას გზით არ უნდა დაუჭირონ მუშებს საანგარიშო წიგნები მუშაობიდან დათხოვნის დროს.

*** **მეტრიკული აღმოწერილობის საფასი.** „ჩერნ. ვ."-ს პეტერბურგიდან სწერენ: „ზოგიერთის ეპარქიის საქმეებიდან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი საეკკლესიო კრებული, მეტრიკულ აღმოწვრილობის მიცემის დროს, მოითხოვენ მთხოვნელთაგან, გარდა დაწესებულ ღერბის ფულისა, კიდევ გასამრჯელოსაც. ამის გამო საეპარქიო მთა-

ვრობათ განკარგულება მოახდინეს იმის შესახებ, რომ მეტრიკული აღმოწერილობა დაბადებისა, ქორწინებისა და დასაფლავების შესახებ უნდა გაიცეს ხოლმე სრულიად უსასყიდლოდ“.

*** **გაძარცვა.** 7 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ტფილისიდან 15 ვერსის სიშორეზე, კახეთის გზატკეცილზე, მდ. ლოჭინის მახლობლად, ოთხმა შეიარაღებულმა თათარმა გაძარცვა ორი მგზავრებიანი ეტლი და ა. პ. ბახმეტოვის მსახურნი. ამ უკანასკნელთ წაართვეს: ცხენი, 300 მანათამდე ფულად, ამერიკული რევოლვერი, საათი და სხ.; ყაჩაღები დაიმალნენ.

*** **მადლობის გამოცხადება.** ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვ ნება მიბოძო თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, ვინც რწმუნებულ ჩემდამო გურ. სახ. წიგნთ-საცავს შემწეობა აღმოუჩინა: ქალბატონებმა: ლისა შალიკაიშვილისამ წიგნები, ღირებული სამი მან., ნატალია ფიფაიშვილმა წიგნები ღირებული სამი მან., ბბ. გიორგი კოკაშვილმა წიგნები ღირებული 2 მ. 20 კ., სიმონ დავითის ძე ოთხმეზურმა ფულათ 2 მ. და ვასილ თავაძემ წიგნები ღირებული 2 მან.

გამგე წიგნთ-საცავისა ჯ. ბაჟუნაიშვილი

*** **ს. თიონეთი. საქონლის ჭირი.** გარდა იმისა, რომ 7 ივნისს აქ დიდი სეტყვა მოვიდა, რომელმაც იმდენი ზარალი მისცა მთელი თიონეთის ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებლებს, რომ აღწერაც არ ძალ-გვიძს, ახლა კიდევ ერთი ფრიად მავნებელი სტუმარი გვეწვია. ეს გახლავთ საქონლის ჭირი, რომელმაც მთელი თიონეთის მაზრის მცხოვრებლებს თავ-ზარი დასცა. დადიან საბრალო გლეხები გულ-ხელ დაკრეფილნი და ვის მიმართონ საშველად არ იციან.

— **უექიმობა.** ყოველ უბედურებასთან აქ ექიმიც დიოგენის ფარნით საძებნელი გამხდარა, და თუ მოძებნეს, სამ დღეს უნდა უცადო იმის წამოსვლას, ხოლო თუ როგორმე წამოიყვანე, დაგიწერს რეცეპტს და ამით დაგაკმაყოფილებს, თითონ ჯიბეს გაივსებს ფულით და გაისეირნებს არხეინად.

— **ამინდი.** დიდათ საკვირველია წლევანდელი ამინდების ამბავი. გაზაფხულია, გაზაფხულს არა ჰგავს! ზაფხულია, ზაფხულს არა ჰგავს! აქ ისეთი კვირა არ გასულა, რომ სამ ოთხ ჯერ კოკისპირული წვიმა არ მოსულიყო და თან სეტყვაც არ დაეტანოს. მცხოვრებთ ასეთი ამინდები დიდ ზარალს აძლევს, სხვათა შორის საწყალ ჯარისკაცებსაც ხელს უშლის პრაქტიკულ მუშაობაში.

ალექ. ნაესაკოველი

*** **მარტვილი** (სამეგრელო). **ყოვლად-უსამღვდელოესის ჩამობრძანება.** ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე მარტვილს მობრძანდა 27 წარსულ ივნისს. ადგილობრივს დღესასწაულზე 29 ივნისს მარტვილის მონასტერში წირვა ინება. წირვის შემდეგ ხალხს უქადაგა. მიუხედავად ავდრისა ხალხი მრავალი შეიკრიბა, რადგან გაეგოთ, რომ მისი მეუფება ბრძანდებოდა ამ დღეს მწირველი. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან დიდი ხნიდან აქ არსებული ჩვეულება—პეტრე-პავლობა დღეს მღვდელ-მთავრის მიერ წირვის გადახდა—წლეულსაც არ მოაკლდათ.

ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ამ ზაფხულს, საქმეების რიგზე მოსაყვანად, აქ თვისს საწინამძღვრო მარტვილის მონასტერში დაჰყოფს.

მარტვილელი

*** **დ. გუდაუთი. თხოვნა მომრიგებელ-სასამართლოს დაარსებაზე.** როგორც გავიგეთ, ადგილობრივ მკვიდრთა თხოვნა გუდაუთის პოსადად წოდების შესახებ შეწყნარებულ იქმნა მთავრობის მიერ, და ახლა გუდაუთის განყოფილების მცხოვრებნი ამზადებენ საერთო თხოვნას დ. გუდაუთში მათთვის მომრიგებელ სასამართლოს დაარსების შესახებ, რომელიც დიდი ხანია აუცილებელ საჭიროებას შეადგენს აქ.

— **გუბერნატორის თანაშემწის მოსვლა.** 25 ივნისს აქ მოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე გენ.-მ. სამოელოვი. მას მიეგება პურ-მარილით სლაბოდის გამგეობის მამასახლისი, რომელსაც ბ. სამოელოვმა დაწვრილებით გამოჰკითხა დაბის მცხოვრებთა საჭიროების შესახებ და დახმარების აღმოჩენა აღუთქვა.

გ. ბაღდავაძე

*** **ს. გორდი** (სამეგრელო). **მსაჯულების სიმკაცრე.** ჩვენის სოფლის ახლად არჩეულმა მსაჯულებმა, რომლების სიმხნევეზე სრული იმედი გვქონდა, მართლაც გამოიჩინეს კანონიერი და მკაცრი განკარგულება, მიაქციეს ყურადღება გაჭირვებულთ და ზოგ ვაჟბატონების ფარფაშს ფრთები შეაკვეცეს, ზოგიერთ მატყუარა მომჩივნებს ლაგამი ამოსდეს. ორ ძმას, რომელთაც ერთმანერთი უშვერის სიტყვებით გალანძღათ, ხუთ-ხუთი დღის ციხე მიუსაჯეს ნაოლაქევის საპყრობილეში და სხვა.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ჩვენს მსაჯულებს; ეგებ უწეს-რიგობას ბოლო მოეღოს.

— **გადამდები სენი.** სოფლის სასამართლოს 100 საჟენის სიშორეზე ყელ-ჭირვება გაჩნდა. საჭიროა მორიდება და ყურადღების მიქცევა. სასამართლოში მოსიარულენი სრულიად არ ერიდებიან ამ გადამდებ სენს.

— **ავდრების შედეგი.** ივნისმა მოგვაძულა თავი თვისი მარტივით ავდრიან დღეებით და როგორც იყო მოგვშორდა; ახლა ივლისის იმედი გვქონდა გაგვაკეთებსო, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, ამას უარესი წვიმები მოჰყვა და ჩვენი მთა-გორიანი ადგილების მიწა მდ. ცხენის-წყალს გაატანა; სიმინდები უმარგელი დაგვრჩა და გაყვითლდა; შეიძლება მეათედი მოგვივიდეს ამ მოსავლისა, მაგრამ რას გვიზამს, შიმშილით დავიხოცებით!

აქეთ ვენახის წამლობა შემოიღეს, მაგრამ შაბიამანს კარგის ღირსებისას არ უშვრებიან და ამიტომ ცუდი დასალევია. ამიტომაც წელს წამლობა მოუკლეს. დაუწამლავი ვენახების ფოთლები ავდრისაგან გაყვითლდა და ეჭვი არ არის, რომ ობი „მილდიუ“ გაიდგამს მათში ფესვს და ავდრებიც, რასაკვირველია, ხელს შეუწყობს.

გან-თან

*** **სოფ. აწყური** (კახეთი) **გიჟები და დამთხვეულები.** დადგა მკათათვე და ვაი ჩვენი ბრალი ახლა ამ გიჟების ხელში. ეს დალოცვილი წმინდა გიორგი სულ აქ მოერეკება, რომელ კუნჭულშიაც უნდა გაგიჟდეს, ქალია იგი თუ კაცი,—ყველას ჩვენს სოფელში ნახავთ. დაინახავთ, რომ ერთი მანდილოსანი დაირით ხელში და მაღლა მაღლა ხტუნვით მირბის ზევითკენ გაჩქარებული, თითქოს ეშინიან არავინ მიმასწროსო. მეორეს უყურებთ, რომ საცვალ გახეული და ხელში დიდის ჩობახით გამორბის თავქვე და ჩვენი საწყალი ბალღები შერბიან ხვლიკებივით სახლში მათი დაშინებულნი. ახლა იქვე ადგილობრივ ეკლესიასთან ერთი მეორეს ეცემა და გააქვთ თხლაშა-თხლუში თავში, რა არის მე შენზე კარგი ხტუნვა ვიციო და კარგი, ახლა შენ დაისვენეო.

აი ამ გვარ სურათს ნახავთ ჩვენ სოფელში თითქმის ყოველ დღე, რაკი დადგება თიბათვე და მკათათვე, ვიდრე კარგად აგრილდება; ვართ ამ საცოდაობაში და ტანჯვაში, კაცს შიშისაგან ვერც ბალღი გამოუშვია და ვეღარც ქალები ბედავენ წყალზე სიარულს. აი ამ მდგომარეობაში ვართ და ჩვენი პატრონი კი არავინ არის.

ამ ორი დღის წინად მოერია ჩვენსავე სოფლელ კაცს ის ოხერი რაღაც სიგიჟეა და ვაი თქვენ მტერს. რაც იმან დღე დააყარა, ვისაც კი შეხვდა და წააწყდა. ეკლესიიდან გამოქანდა, თურმე, დაავლო თავის ნამგალს ხელი, იქიდან წავიდა და ერთი რვა ვერსის მანძილზე ერთ გლეხ-კაცს სამი დღის სიმინდი ისე გადაუკაფა, რომ ერთი ღერიც არ გაუშვია წამლად, რომ აქ სიმინდი მდგარაო. იქიდან დაუნახავს საქონელი და ოთხი თუ ხუთი სული სულ მიუკუწ-მოუკუწნია, მერე მეძროხისთვის დაუვლია ხელი და უსროლია შორს, თუმცა საბრალო ბიჭი არ მომკვდარა. იქიდან მოვარდა შინ, ეცა იქვე მეზობლის ერთი ათი წლის ბავშვს და დაუწყო ხრჩობა ისე, რომ თუ ბევრი არ მიშველებოდნენ და ხელიდან არ გამოეტაცნათ, საცოდავ ბავშვს უეჭველად იმსხვერპლებდა. ამ თავგასულობას ბევრს სჩადიან ჩვენი წმიდა გიორგის მონები და გიჟები, მაგრამ მათ ასალაგმავად ჯერ არავინა სჩანს. ურიგო არ იქნება, ვისიც ჯერ არს, მიაქციოს ყურადღება ამ თავ-გასულობას და ჩვენი სოფელი გადაარჩინოს შიშსა და ამდენ ვაი-ვაგლახს.

დათიკო

*** **ს. ბახვი** (გურია). **ქალის დვაწლი.** ბახვის სკოლის დაარსებიდგანვე, აგერ ოცდა-ხუთი წელი გადის, აქ მსახურებს მასწავლებელი ქალი ქ-ნი ნინო შარაშიძისა. ამ ხნის განმავლობაში ის დაუღალავად შრომობს და არც ერთხელ არ უღალატნია თავის მოვალეობისათვის. ის არის ნამდვილი დედა და მასწავლებელი ჩვენი სოფლის პაწია შვილებისათვის. თვით მე, თქვენ უმორჩილეს მონას, მასთან მიმიღია პირველ დაწყებითი სწავლა და დღეს ჩემი შვილიც მასთან იზრდება, იმისმა მშობლიურმა სწავლა-დარიგებამ ძრიელ იმოქმედა პაწია მოწაფეებზედაც და მათ შორის დაიმსახურა უღრმესი პატივი და სიყვარული. ამას გარდა ქ-ნი შარაშიძისა სწორედ ზნეობრივი მაგალითია, არა თუ მარტო მოწაფეებისათვის, არამედ ძველი ჩვენი სოფლის ქალებისათვის. იმის წყალობით ჩვენი სოფლის ქალებიც ბევრად წინ დგანან სხვა სოფლის ქალებზე. აქ იშვიათად შეხვდებით უქმად მოხეტიალე დედაკაცებს, ყველა ცდილობს რაც შეიძლება მეტი იშრომოს ოჯახში, რომ ამით მის ტოლ მეზობელ ქალების თვალში არ შერცხვეს. ესენი ზნეობრივადაც გაუმჯობესდნენ; ცრუ-მორწმუნება და სხვა და სხვა უზნეობა აქ იშვიათი მოვლენაა.

კუ-კუ!

*** **დ. ზესტაფონი. ქმრის მხეცური ქცევა.** გუშინ საზარელი საქმე ჩაიდინა ერთმა მთვრალმა რუსმა, რომელიც მივარდა ცოლს ჯერ ცემა დაუწყო და მერე კი ნავთი

გადაასხა თავზე და ცეცხლი წაუკიდა. თქვენი მტერია, რომ დროზე არ მიესწროთ, სულ დაიწვებოდა ცოცხალი ადამიანი, მაგრამ გამოუჩნდნენ მშველელნი და როგორც იყო, გადაარჩინეს, მაგრამ ვაი იმისთანა გადარჩენას—თავპირი დამწვარი აქვს. ბოროტების ჩამდენი დააპატიმრეს.

ნაპერწკალი

---

† **ოლღა დედაბრიშვილისა.** წარსულ თიბათვეს შავს მიწას მიჰბარდა ოლგა დედაბრიშვილისა, დაჲ ჩვენის ახალგაზდა ბელეტრისტის შიო არაგვისპირელისა.

ამბობ, მოჰკვდაო, საუკუნოდ გამოგვესალმა ხორციელად ეს წმიდა სულიო და თანაც არა გჯერა, სინამდვილისათვის ანგარიში ველარ მიგიცია. ამბობ, მოკვდაო და კი არა გჯერა, იმიტომ რომ ძნელად წარმოსადგენია, რომ ოლგა დედაბრიშვილის გული, ეს ბუდე შევიწროებულთა და ჩაგრულთადმი სიყვარულისა, გაჩერებულიყოს; არა გჯერა, რომ მისი თვალები, რომლებშიაც მარტო სათნოება და ზეციური უმანკოება იხატებოდა, დახუჭულია, დახუჭულია საუკუნოდ იმისთვის, რომ არ უყუროს საქაო ბოროტებას, ძმისგან ძმის ჩაგვრას, მძლავრისაგან უძლურის სასიკვდილოდ გამეტებას; ამბობ, მოკვდაო და არა გჯერა, რომ ხელები, რომლებიც ყოველთვის მზად იყო გაჭირვებულისათვის ცრემლები მოეწმინდა, გულზედ ჰქონდეს დაკრეფილი უძრავად...

და... მაინც უნდა დარწმუნდე, რომ სიკვდილი არავის არჩევს, მისთვის ავი და კარგი არ არსებობს, მის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან... მაინც უნდა დარწმუნდე, რომ მოგვშორდა ეს სულ-მნათი ადამიანი, დაგვაობლა ჯერ ისევ გაუხარებელმა სააქაო ცხოვრებითა, სიცოცხლეს მოწყურებულმა...

განსვენებულს ჩვენს საზოგადოებაში ძლიერ ცოტანი იცნობდნენ; და მიზეზი ამისა იყო მისი კდემამოსილობა, მორცხვობა. ეგ კდემამოსილობა და მორცხვობა იყო, სხვათა შორის, მიზეზი იმისაც, რომ მას, როგორც მწერალს, ამ სტრიქონების დამწერისა და მისი ძმის მეტი არავინ იცნობდა.

სამწერლო ასპარეზზე განსვენებული ერთის წლის წინად გამოვიდა. სამწერლო მომზადება მას არა ჰქონია. სწავლობდა ჯერ ტფილისის ეპარქიალურ სასწავლებელში, და მერე მთლად ქართულს მწერლობაზე აღიზარდა. ქართველ მწერლებს ყველას თითქმის ზედმიწევნით იცნობდა. იქნება აზრადაც არა ჰქონოდა კალმისათვის ხელი მოეკიდნა, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს ძმის მაგალითმა გააბედვინა.

გაზეთ „კვალის“ მკითხველებს უეჭველია, ეხსომებათ ორი გრძნობით სავსე მოთხრობა 1897 წლის „კვალის“ №№-ში დაბეჭდილი და „მთის ქალი“-ს ფსევდონიმით ხელმოწერილი. ავტორს გამოუცდელობა ეტყობა ამ მოთხრობებში, ტეხნიკა სუსტი აქვს. მაგრამ ყოველსავე ამას გავიწყებსთ მოთხრობების სადა, გულის-დამწყვეტი შინაარსი, უბრალოდ, უფერ-უმარილოდ გადმოცემული. ავტორს პრეტენზია არა აქვს რაიმე ეფექტებით მოგხიბლოსთ. მსგავსად თავისის ძმისა, მწარედა და გულ-წრფელად დასტირის ჩვენს უმწეო, ყველასაგან დავიწყებულს გლეხს, რომლისათვის ბევრი არავინ ზრუნავს, და რომელზედაც ოლგა დედაბრიშვილისა ერთს თავისსავე გმირს ჟამსა განწირულებისა მწარედ ათქმევინებს: „ჩემს გაჩენაში ღმერთს წილი არ უძევსო“.

გლეხისავე ჰმუნვა შეექმნა აწერის საგნად ჩვენს უდროოდ გარდაცვლილს მწერალს ქალს თვისს მეორე მოთხრობაში, იმავე წლის № დაბეჭდილში. თვალწინ გეშლებათ სუსხიან ზამთრის სურათი. მიწურში უპატრონოდ ყრილან ავადმყოფი დედა და მისი პატარა, სიცივისაგან მუდამ გათოშილი, 13 წლის ქალი. ვაჟი ავადმყოფისა, რომელიც ბურჯად უნდა გაუხდეს ოჯახს, ქალაქშია ხელოსნად. ლუკმა-პურის მაძიებელი. როგორც იქმნა თავი დააღწია ოსტატს ავადმყოფის დედის სანახავად, მაგრამ სიმწარისაგან დათუთქული დედის გული მაინც ვერ გაახარა: გზაში თოვლმა იმსხვერპლა და დედამ მისი გაცივებული გვამი ლა ნახა და იმავ წამს ელდისაგან სული განუტევა...

ამის მეტი ვერ დასცალდა სვეუბედურს მწერალს. თითქო ბუნებას შეშურდა ჩვენი სიკეთეო და 23 წლის არსება მის სიმპატიურ ნიჭთან ერთად წაგვართვა. ჭლექმა სრულიად მოულოდნელად გამოგვტაცა ხელიდან დაბა სურამში 15 ივნისს. დასაფლავებულია სამშობლო სოფელ წილკანში (დუშეთის მაზრა), სადაც ორი თვის წინად თავისის ხელით მიწა მიაყარა ერთ-ერთ საყვარელ ძმას. მთელის სოფლის მცხოვრებთა გულ-წრფელმა ცრემლმა დანამა მისი უმანკო გული, რომელიც ეოდენის სიყვარულით სძგერდა ყველასათვის...

საუკუნოდ იყავნ ხსენება შენი, მადლით მოსილო არსებავ!..

ს.

## რედაქციისაგან

**სამეგრელოში** გულნატკენს. თქვენი წერილები ზოგი დაიბეჭდა და ზოგიც დაიბეჭდება. რაც შეეხება გადმობეჭდვას, ეგ მოუხერხებლად მიგვაჩნია და არც საგანია ისეთი საყურადღებო.

**წყემში** არჩ. გ—ნავას. თქვენი წერილი ქალების თავის მკვლელობაზე ვერ იბეჭდება.

## საპედაგოგიო კურსები ტფილისში

10 ივლისს პირველი გაკვეთილი მისცა ბ-ნმა ხუციშვილმა. გაკვეთილი გაარჩიეს და მოიწონეს.

მეორე სამაგალითო გაკვეთილი რუსულში სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა კორხანიდმა მისცა. მეცადინეობდა ორს განყოფილებაში. გაკვეთილის ავკარგიანობაზე არას ვიტყვით, მხოლოდ იმის შესახებ, თუ რამდენად გამოსადეგია მისი მეთოდით სწავლება სამრევლო სკოლებში, ის უნდა ითქვას, რომ დასახელებულ სკოლებში არას გზით არ შეიძლება სამს განყოფილებასთან ისე სწავლება, როგორც ბ-ნი კორხანიდი მოიქცა. ერთს საათზე მეტი იმეცადინა ორს განყოფილებაში და ოთხი სტრიქონი „СИРОТКА“-დან აუხსნა და სტრიქონ ნახევარი „ГОРШОКЪ И КАТЕЛЪ“-იდან. მთელი გაკვეთილი ერთხმივ აკითხებია ბავშვებს. შეიძლება, მართლა მისი მეთოდი სწავლებამ ბევრი სარგებლობა მოიტანოს, როგორც თითონ ამბობს, თუ მასწავლებელს ერთ განყოფილებასთან ექნება საქმე, მაგრამ სამ განყოფილებასთან კი, დარწმუნებული ვართ, ვერაფერს გააწყობს. უკანასკნელი გაკვეთილი ბ-ნმა ნებერიძემ მისცა. გაკვეთილი კოჭლობდა სამივე განყოფილებაში.

დაბოლოს არ შეგვიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვსთქვათ გაკვეთილების გარჩევის შესახებ. ბევრი კრიტიკანი საქმეს აზვიადებს გაკვეთილს, ღირსეული იქნება თუ უღირსი, სულ ერთნაირად ეპყრობა... იმას კი არ შეეხებიან ხოლმე რაც იყო, არამედ რაც უფრო კარგი იქნებოდა მათის სიტყვით, მაგრამ მათი სიტყვა ხშირად ფონს ვერ გადის. ამის ნიმუშს დავასახელებ ქვევით. ერთმა კრიტიკანმა გაარჩია ართმეტიკის გაკვეთილი თითქმის ყველასაგან ღირსეულად აღიარებული და სამწუხაროდ იმისთანა დაძველებ-დახავსებული საშუალებანი უჩვენა ამ საგნის შესასწავლად, რომელნიც ამ თხუთმეტი წლის წინად იხმარებოდა და უვარგისობისა გამო დიდი ხანია განდევნილ იქმნა სკოლებიდან. რასაკვირველია, ამათთანა კრიტიკანები უპასუხოდ არა რჩებიან ხოლმე ყოველთა სასიამოვნოდ. სამრევლო სკოლებში ის სახელმძღვანელოები—ტენიშევის და ნატროშვილის კრებულები—სულ ახალ მეთოდის მოთხოვისამებრ არიან შედგენილები და აბა რა შედარება უნდა იყოს ამ კრებულებთან და წინანდელებთან.

მ. ლიხელი

## საპედაგოგიო კურსები სამეგრელოში

ს. მარტვილში 4 ივლისს თავი მოიყარა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლის მასწავლებლებმა, მეორე დღეს დაესწრნენ მარტვილის მონასტერში მღვდელ-მთავრის წირვას და ამ დღეს სამრევლო სკოლის მასწავლებელნი და აგრეთვე მათთვის საგანგებო მასწავლებელნიც მოგროვდნენ, ჩამოვიდნენ აგრეთვე ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი ბ-ნი თ. ჟორდანია, სენაკის და ოზურგეთის მაზრის მეთვალყურენი, ბლაღოჩინი მღვდელი კაპიტონ გაწერელია და მღ. ადელი სოლომონ ანდღულაძე, მღვდელი იოანნე ბობოხიძე, სტეფანე ძიმისტარიშვილი, ტროფიმე ჯოხთაბერიძე, ფ. ქორიძე და ა. ბენაშვილი. 6 ივლისს, დილით შემდეგ ლიტურღიის შესრულებისა, სწავლის წინ დასაწყისი პარაკლისი გადაიხადა კათედრის და მონასტრის კრებულთა თანამსახურებით, სენაკის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბლაღოჩინმა მღ. კაპიტონ გაწერელიამ, შემდეგ ლიტონიით გაემგზავრნენ იქავ სამაგალითო სამრევლო ორკლასიან სკოლის შენობაში და აიაზმა ასხურეს სკოლის და მის მასწავლებელთა სადგომებს, ყველა დამსწრენი აიაზმის სხურებით ჯვარს ემთხვივნენ. ამ დროს ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე მობრძანდა სკოლაში. შემობრძანების დროს მასწავლებლებმა იგალობეს „მეუფეო ზეცათაო“ და „ისპოლა“. ყოვლად-სამღვდელომ საერთო შეკრება მიულოცა ყველას, აღუთქვა მონასტრიდგან შეძლებისამებრ ყველას დახმარება და შემწეობა, ოღონდ კი იბეჯითონ მასწავლებლობაში. თუ ვინმეს ბინა გეჭირვება,—უთხრა ყოვლად სამღვდელომ, შეგიძლია ერთი ვერსის მანძილზე ხარების მონასტრის საწინამძღვრო სადგომი სახლიც გათხოვოთო, მერე განუმარტა მასწავლებელთ მნიშვნელობა ამ საპედაგოგიო კურსებისა. შემდეგ აკურთხა ისინი და წაბრძანდა თავის ბინაში.

მას შემდეგ ეპარხიის მეთვალყურე ბ. თ. ჟორდანიამ წაუკითხა ყველას ამ კურსების განმავლობაში წესდება თუ ვითარ რიგ-რიგობით მოიქცნენ ისინი, თანვე მიმართა ყველას გრძნობით აღსავსე სიტყვით, დაარიგა ყველა ისინი

და დაუსურათხატა მნიშვნელობანი მათნი მომავალში, თუ რა რიგ წაიყვანონ ახალ მოზარდთა სწავლისა და ზნეობის განვითარების საქმე.

ამ დღეს პირველი გაკვეთილი მასწავლებლებს მისცა ბ. ა. ბენაშვილმა რუსულ გალობისა და მეორე ბ. ქორიძემ ქართულისა.

შვიდს ამ თვიდან კი იწყება წესდებისამებრ სწავლა შუადღემდე ოთხი გაკვეთილის და ნაშუადღევს სამი გაკვეთილისა. მასწავლებლები დაბინავდნენ სამონასტრო და სამრევლო სკოლის მასწავლებლებთა სადგომ სახლებში, რომლებიც მათ დაეთმოთ მუქთად და ზოგიც სკოლის მახლობლად სოფელში მოსახლე კაცებისას შეღავათიან შენახვა და მოვლა ცხოვრებით.

რაც შესაძლებელია, საზოგადოება მარტვილისა მზათ არის ამ კურსების დროს ყველას ხელი შეუწყონ, რადგან გულში უღვივით სიხარული, ვინაიდგან დღეს ისინი ხედვენ მარტვილში მათზე ყურადღების მიპყრობას საზაფხულო კურსების დაარსებით.

თეორიულ ლექციების და სანიმუშო სამაგალითო გაკვეთილების მისაცემად ამ კურსებზე დანიშნულნი არიან სამეურნეო სკოლის მასწავლებელნიც ბბ. ნ. მკურნალი, ი. ქუთათელაძე და ს. მალარაძე, რომელთათვისაც აქ კურსებზე დამზადებულია ამ საქმისათვის საჭირო მასალები—მეფუტკრეობისა, მეაბრეშუმეობისა, მევენახეობისა და ბაღოსნობისა.

მარტვილი, როგორც შესანიშნავი ჰავით ისე სანოვაგის სიაფით სწორედ შესაფერად იქმნა აღრჩეული მთავრობისაგან საზაფხულო საპედაგოგიო კურსებისათვის.

ერთი ვინმე

## ყურმოკრული საუბარი

— შეიძლება თუ არა კაცმა სიბრმავე მოიმიზეზოს ცოლთან გაყრისათვის?

— შეიძლება.

— თუ აგრეა, მე გთხოვთ აღძრათ საქმე გაყრის თაობაზე.

— როგორ!—თქვენი ცოლი ხომ არ დაბრმავებულა?

— არა, ბატონო! მე ვიყავი ბრმა, მე, როცა მისი შერთვა გადავწყვიტე.

ქიზიყელის სასაცილო საქციელი. ერთმა ქიზიყელმა, ვირით წისქვილში საფქვავი წაიღო; საფქვავი მეწისქვილეს დაუტოვა დასაფქვავათ და თვითონ სახლისკენ წამოსასვლელად მოემზადა; გზას, რომ დაადგა, ვირს უთხრა: „აბა, შენ მაგ გზაზე წადი და მე აქეთ გზაზე წავალო, თუ შენ მიმასწრებ სახლში, ამაღამვე ერთს ჩანახ ქერს დაგიყრი და გაჭმევო, და თუ მე მიგასწრო ერთს ტაფა ერბო-კვერცხს შევაწვევინებ ჩემს ცოლს და შევექცევიო“. მართლაც ქიზიყელი ასე მოიქცა, დაანება თავი, ამ შუა გზაზე მიმავალს ვირს, და გასწია შინისკენ, მირბის ქიზიყელი რაც ძალი და ღონე აქვს გაუჩერებლივ, ეგება ვირმა არ მიმასწროს და სანაძლეო არ წავაგოვო.

სახლში, რომ მიიჭრა, მიიხედ-მოიხედა, მთელი თავის სახლის მიდამო დაათვარიელა, ხომ არ მოსულა ვირიო, რომ ვერსად დაინახა, ცოლსაც ჰკითხა გახარებულმა: „ჩვენი ვირი ხომ არ მოსულა ქალო?“—არაო, უპასუხა ცოლმა, მერე უფრო თამამად მიაძახა ცოლს: „არიქა ჩემო ქალო! ჩვენს ვირს სანაძლეოში მოვუგე, რომ მე მოვასწარი აქ და ერთი ტაფა ერბო-კვერცხი მომიწვიო“. ცოლიც დათანხმდა და მოუწვა ერთი ტაფა ერბო-კვერცხი; ქიზიყელი მადიანათ მიაძღა ერბო-კვერცხს და რომ გაათავა, მძიმეთ და ხვნეშით წარმოსთქვა: „ჰჰ! შენ გენაცვალე ჩემო ვირო, რომ ეს გემრიელი ვახშამი მარგუნე და მადიანათ მივაძეხიო“. ცოლმა უთხრა: „კაცო! შენ კი მადიანათ მიაძეხი, მაგრამ ვირი რაღა უყავ? ამ დამე, რომ გზაში მიატოვე, იმასაც ხომ მშიერი მგლები მიაძღებიანო“. ქიზიყელი დაფიქრდა, სწორედ ეჭაშნიკა თავისი ცოლის სიტყვები, მაშინათვე გაუდგა ვირით გზას, მაგრამ ის დღე თქვენს მტერს დაადგეს, რაც იმის ვირს დღე დასდგომოდა, თურმე, ნუ ბრძანებთ, დახვევიან მშიერი მგლები და ვირის ქორწილი გაემართათ, რომლებიც თავიანთ მადლიანის ყმუილით ერთმანეთს ართობდნენ და საწყალ ქიზიყელს კი დარდით ათრობდნენ.

## სამეცნიერო ცნობა

ჭლექის გადადების მიზეზთაგანი. დოქტორი გრანშე ნათლად ამტკიცებს, რომ ფურთხი არის ერთი პირდაპირი მიზეზი ტუბერკილიოზის გადადებისა, რომელიც საშინელ ავადმყოფობად უნდა ჩაითვალოს და რომელიც საფრანგეთში ყოველწლივ 150,000 კაცს ხოცავსო. გრანშე დარწმუნებულიყო რომ ტუბერკილიოზი არ არის უკურნებელი სენი, პირ-იქით ყველა ქრონიკულ სენზე უფრო ადვილად მოსარჩენიაო: სულ უბრალო თავის მოვლით შეუძლია ავადმყოფს შეაჩეროს მისი გაძლიერებაო. ერთი ამ ზომათაგანი არის იატაკის სისუფთავე სკოლებსა, საზოგადო დაწესებულებებსა, კაზარმებსა და სავადმყოფოებშიო. დოქტორი. გრანშე დიდ მნიშვნელობას არ აძლევს მთავრობისაგან მიღებულ ზომებს, რადგან ყოველი განკარგულება ფუჭად ჩაივლის, თუ თვით საზოგადოება არ შეიგნებს მისი შესრულების საჭიროებას. საკმარისიაო, ამბობს იგი, როც ექიმებისაგან მასწავლებლებმა, აფიცრებმა და მამებმა დროზე გაიგონ განსაცდელი და აასრულონ ის ზომები, რომლებიც მიმართულია სენის გავრცელების წინააღმდეგ, და არვითარი ზომა მთავრობისაგან საჭირო არ იქნებაო.

## სხვა-და-სხვა ამბები

გრაფის ლ. ნ. ტოლსტოის აზრი მოუსავლობის შესახებ. რუსულ გაზ. „რუს-„ში დაბეჭდილია რუსეთის გამოჩენილი ფილოსოფოსის გრაფის ლეონ ნ. ტოლსტოის წერილი მოუსავლობის შესახებ. ამ წერილში მხცოვანი მწერალი იძლევა შემდეგ სამ კითხვას. „არის შიმშილობა, თუ არ არის შიმშილობა? საიდან წარმოსდგება ხალხის გაჭირვება? და რა უნდა ვქნათ, რომ ამ გაჭირვებას ბოლო მოეღოს?“ ამ კითხვებზე გრაფი უპასუხებს შემდეგს: „ხალხს აწუხებს არა შიმშილობა, არამედ საზრდოს ნაკლებულობა, რომელიც სულ უფრო და უფრო საგძნობელი ხდება ამ 20 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით საგრძნობელი შეიქნა წელს. შვრიის მოსავლი კიდევ უფრო ნაკლებია შარშანდელზე. შიმშილობა არ არის, მაგრამ არის გაცილებით უფრო ცუდი მდგომარეობა. ეს იმას ჰგავს, რომ ექიმმა, რომელსაც ვეკითხებით სჭირს თუ არა ავადმყოფს სახადიო, მოგვიგოს, სახადი არა სჭირს, მაგრამ თან-და-თან ჭლექი უძლიერდებაო. მეორე კითხვაზე ჩემი პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობის მიზეზი არის არა ნივთიერი, არამედ სულიერ,ი რომ უმთავრესი მიზეზია მისი სულით დაცემა, ასე რომ სანამ ხალხი სულით არ აღდგება, მანამ მას ვერ უშველის ვერავითარი გარეგანი საშვალება, ვერც მიწად მოქმედების სამინისტრო, ვერც გამოფენები, ვერც სამეურნეო სკოლები, ვერც ტარიფების შეცვლა, ვერც თავის დასახსნელ. გადასახადისგან განთავისუფლება (რომელიც დიდი ხანია დროა მოხდეს, რადგან გლეხებმა დიდიხანია გადაიხადეს ის; რაც ისესხეს, თუ ვიანგარიშებთ ამჟამად ხმარებულ პროცენტით), ვერც რკინისა და მაშინებზე ბაჟები მოსპობს,—ვერაფერი ვერ უშველის ხალხს, თუ მისი სულის მდგომარეობა იგივე დარჩება მე არ ვამბობ ყველა ეს ზომები უსარგებლოა მეთქი, მაგრამ ისინი სასარგებლო შეიქნებიან მხოლოდ მაშინ, როცა ხალხი სულით ამაღლდება და ცნობურად და თავისუფლად მოინდომებს მათ გამოყენებას. ხოლო ჩემი პასუხი მესამე კითხვაზე: რა უნდა ვქნათ, რომ ხალხის გაჭირვება არ განმეორდეს, იმაში მდგომარეობს, რომ ამისათვის საჭიროა, არა თუ პატივს ვცემდეთ, არამედ აღარ გვძულდეს, აღარ შეურაცხყოფდეთ ხალხს მასთან მოპყრობით ისე, როგორც ცხოველთა, უნდა დავუქვემდებაროთ იგი საზოგადოდ, და არა განსაკუთრებულ კანონებს, უნდა მივცეთ მას თავისუფლება სწავლისა, თავისუფლება მიმოსვლისა, და, რაც უფრო საყურადღებოა, ავაშოროთ მხეცური გაშოლტვის დაღი ხნიერებს, რომელთაც ეს დაღი აზით მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხები არიან. თუ განვათავისუფლებთ გლეხებს ყველა იმ ბორკილისა და დამცირებისაგან, რომელიც მათ სულს უხუთავს, მაშინ 20 წლის შემდეგ ისინი შეიძენენ ყველა იმ სიმდიდრეს, რომლითაც ჩვენ გვსურს დავაჯილდოვოთ ისინი, და გაცილებით უფრო ბევრსაც.

—

ქალების მოძრაობის წარმატება. პარიჟში ამას წინად ერთმა ქალმა, ელენა გაბორიომ, მეცნიერთა კრების წინაშე წაიკითხა თავისი მეცნიერული გამოკვლევა მედიცინის დოქტორის ხარისხის მისაღებად. მას უკვე აქვს ფარმაცევტის დიპლომი (მოწმობა), რომლის მისაღებად მან 5 წელიწადი იმუშავა, ხოლო მედიცინის დოქტორის სახელის დასამსახურებლად მან 6 წელიწადს იმუშავა თავის მეცნიერულ გამოკვლევაზე. სამაგიეროთ იგი საფრანგეთში პირველი ქალია, რომელმაც შეიძინა დოქტორ-მეაფთიაქის ორკეცი სახელი.

ახალზელანდიაში ქალები მონაწილეობას იღებენ საპარლამენტო არჩევნებში და ახლა ავსტრალიის მეორე ახალშენშიაც, ვიქტორიაში, აპირებენ მისცენ ქალებს ეს უფლება: მთავრობას უკვე შეუმუშავებია კანონ-პროექტი ამ საგნის შესახებ და შეიტანს მას ადგილობრივი პარლამენტის მომავალ სხდომაზე, რომელიც უეჭველად მიიღებს მას.

ლონდონის საგრაფო რჩევამ ერთხმად წარუდგინა სათემო პალატას თხოვნა იმის შესახებ, რომ ქალებს ნება მიეცეთ შეიქნენ ამ რჩევის წევრებად.

სასოფლო საოლქო რჩევებში და ღარიბთათვის მზრუნველ კრებებში ქალების რიცხვი ყოველ წლივ იზრდება და ამ ჟამად ისინი მონაწილეობას იღებენ 349 სათემო დაწესებულებაში (სულ კი ასეთი დაწესებულება 942 არის). ამასთან ღარიბთა მზრუნველად არის 743 ქალი, ხოლო სასოფლო საოლქო რჩევათა წევრებად—161. შარშანდელთან შედარებით ასეთამოღვაწე ქალთა რიცხვს 65 ქალი მოემატა.

ეგრედწოდებულ „მწვანე კუნძულზე“ აგრეთვე განზრახვა აქვს ინგლისის სათემო პალატას შემოიღოს ქალების უფლება სასოფლო საოლქო რჩევებში და ღარიბთათვის მზრუნველ კრებებში მონაწილეობის მისაღებად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუნ